გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის ზოგიერთი ასპექტი

ავტორი ნესტან მიქაძე

გარდნერის თეორიის მიხედვით, ადამიანის ინტელექტი და გონიერება ერთი და იგივე უნარი არ არის და ერთი საზომით ვერ გაიზომება. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სწავლის სტილით, უნარებითა და მიდრეკილებებით. იმ რვა უნარიდან, რომელსაც გარდნერი გამოყოფს, ადამიანები შეიძლება ზოგიერთში გამოირჩეოდნენ და სხვა უნარებს კი ვერ ამჟღავნებდნენ. მის მიხედვით, ყოველი ადამიანი განსაზღვრულ სფეროშია ძლიერი, რისი გათვალისწინებაც სწავლების პროცესში აუცილებელია.

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და არსებულმა გამოცდილებამ განსაზღვრა ჩემი და ჩემი კოლეგის, ბიოლოგიის მასწავლებლის, მარინე ბერიანიძის საკვლევი თემა.

ჩვენი საკვლევი თემის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში, როგორ უნდა მოხდეს მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

სამიზნე ჯგუფად არჩეულ კლასში მოზარდების უმრავლესობა სასწავლო პროცესის მიმართ მეტად აქტიური და მიზანდასახულია. მოსწავლეთა მცირე ნაწილი კი – პასიური, რაც მათ მიერ სასწავლო მიზნების მიღწევაზეც აისახება.

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე დაფუძნებული კვლევა დაგვეხმარა გამოგვეკვეთა პრიორიტეტები, რათა მომავალში გაკვეთილები მოსწავლეზე მორგებული საჭიროებების გათვალისწინებით დაგვეგეგმა.

პედაგოგიური კვლევის პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ვაწარმოეთ კვლევის დღიური, რომელშიც შევიტანეთ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დაკვირვების შედეგები, საკუთარი იდეები, გეგმები, ინტერვიუები და მონაცემთა ანალიზის შედეგები. კვლევის პროცესში დროდადრო ვუბრუნდებოდით საკუთარ ჩანაწერებს ხელახლა გააზრების მიზნით. კვლევის დღიურის წარმოება დაგვეხმარა, სწორად გვევლო ღირებული იდეების განსახორციელებელ გზაზე.

კვლევაზე მუშაობის დაწყების პირველ ეტაპზე მოვხადინეთ მოცემული თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი.

გამოვკვეთეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი

– მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის სტილი და სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათ ინდივიდუალურ უნარებს. აუცილებელია, სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების ფლობა და გამოყენება.

– მასწავლებელმა ისეთ აქტივობებს უნდა მიმართოს, რომლებიც ბავშვის უნარებს არა ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს.

– ასევე მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ რთულია თითოეული მოსწავლის ინტელექტის თავისებურების დადგენა და ამ შესაძებლობების ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მეთოდებში გამოყენება და დაგეგმვა.

შევარჩიეთ კვლევაზე მუშაობის რამდენიმე გზა, როგორ განგვესაზღვრა მოსწავლეთა მიდრეკილე ბები და ინტერესები:

– კლასის დამრიგებლის დახმარებით;

– სხვა საგნის მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციით;

– მოსწავლეთა შესახებ არსებული დოკუმენტაციის შესწავლით;

– მშობლებთან თანამშრომლობით;

– ანკეტირების კითხვარის გამოყენებით;

– ბავშვებთან ინტენსიური კომუნიკაციით;

– გაკვეთილების დაგეგმვა გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის ცხრილის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობასა და მაღალ ხარისხს.

პირველ ეტაპზე გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით მოსწავლეებმა შეავსეს შესაბამისი ანკეტები. შემდეგ მოვახდინეთ ამ მასალის დამუშავება კოდირების ცხრილით, სვეტოვანი და წრიული დიაგრამებით.

მონაცემები განვიხილეთ, როგორც თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურად, ასევე გავაკეთეთ მთელი კლასისთვის.

შევარჩიეთ ანკეტირების კითხვარი, კერძოდ:

1 – არასოდეს; 2 – იშვიათად; 3 – ხშირად; 4 – ყოველთვის.

1. ლინგვისტური ინტელექტი	
მიყვარს ამბების მოფიქრება.	
შემიძლია ციტატების/ ფრაზების ადვილად დამახსოვრება.	
უცხო ენა ჩემი საყვარელი საგანია.	
მიყვარს კითხვა.	

2. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი	
მათემატიკა ჩემი საყვარელი საგანია;	

ადვილად ვიმახსოვრებ ტელეფონის ნომრებს;	
ვანგარიშობ თითების გარეშე;	
მიყვარს სამაგიდო თამაშები(ჭადრაკი,შაში, დომინო და სხვა);	
მიყვარს ნივთების დაშლა-აწყობა.	

3. სივრცული ინტელექტი	
შემიძლია ცხრილების/გრაფიკების ადვილად გაგება;	
კარგად ვიმახსოვრებ იმ ადგილებს, სადაც ერთხელ მაინც ვიყავი;	
მაქვს წარმოსახვის კარგი უნარი;	
ხელოვნება ჩემი საყვარელი საგანია;	

4. პრაქტიკული ინტელექტი;	
მიყვარს ხელსაქმე, ჩხირკედელაობა;	
ნივთების ერთმანეთთან დაკავშირება და აწყობა;	
მიყვარს პრაქტიკული გაკვეთილები;	
მნიშვნელოვანია ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება.	

5. კინესთეტიკური ინტელექტი	
შემიძლია ცეკვა;	
მიყვარს სპორტული თამაშები;	
მიყვარს ბურთით თამაში;	
მიყვარს ძერწვა.	

6. ინტერპერსონალური ინტელექტი	

მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა;	
განვიცდი, როცა ვინმე ტირის და ვერ ვეხმარები;	
მიყვარს გუნდური თამაშები;	
მეგობრები ხშირად მეკითხებიან რჩევას.	

7. ინტრაპერსონალური ინტელექტი	
ყოველთვის მოწესრიგებული, ორგანიზებული ვარ;	
ვადგენ სამომავლო გეგმებს;	
მომწონს ინდივიდუალური სპორტის სახეობები;	
ყოველთვის ვიცი, რასაც ვგრძნობ;	
მიყვარს მარტო ყოფნა.	

8. ნატურალისტური ინტელექტი	
ადვილად ვცნობ სხვადასხვა ჯიშის ფრინველს;	
მაინტერესებს ქვები და მინერალები;	
ადვილად ვცნობ სხვადასხვა ჯიშის მცენარეს;	
მიყვარს სახლის გარეთ, ბუნებაში ყოფნა;	
ადვილად ვცნობ მანქანის მარკას.	

აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ არჩეულ სამიზნე მოზარდებში საკმაოდ კარგად არის განვითარებული ი ნტელექტის ყველა ტიპი, მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც გამოიკვეთა.

ანკეტირების შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტად მოსწავლეებს განვითარებული აქვთ ინტერპერსონალური, კინესთეტიკური და ინტრაპერსონალური ინტელექტი, რაც უდავოდ არის წლების მანძილზე სკოლის მასწავლებლების სწავლების პროცესისადმი სწორი მიდგომის შედეგი.

ანკეტირებამ ასევე აჩვენა, რომ სამიზნე ჯგუფის
მოზარდებს შედარებით ნაკლებად აქვთ განვითარებული ენობრივ-ლინგვისტური და ნატურალისტური ინტელექტი. კერძოდ, შედარებით უჭირთ ენობრივი ინფორმაცია, წერითი და ზეპირი მეტყველება, ინფორმაციის შენახვა, ინტერპრეტაცია და ახსნა ენობრივი საშუალებებით;

ასევე ნაკლებად აქვთ ბუნების აღქმის, მცენარეებისა და ცხოველების, ბუნებრივი სამყაროში განსხვავებების შეცნობის უნარი.

თვისობრივი კვლევა ანკეტირების შედეგების გათვალისწინებით დავიწყეთ.

– გამოვიყენეთ აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვების მეთოდი.

– საგაკვეთილო პროცესისთვის აქტივობებს მოსწავლეებში სხვადასხვა ინტელექტის დონის გამოსავლენად ვგეგმავდით.

– ვერბალური უნარების გამოსავლენად რამდენიმე გაკვეთილი, შესაბამის თემაზე, მარკირებული კითხვის მეთოდით ჩავატარეთ. მასალის წაკითხვის შემდეგ ხდებოდა ტექსტის ანალიზი, მოსწავლეები კომენტარს აკეთებდნენ მოცემულ საკითხსა თუ მოვლენაზე. იმართებოდა დისკუსიები, დებატები, პრეზენტაციები.

ლოგიკური აზროვნების გამოსავლენად რამდენიმე გაკვეთილი, ძირითადად, არითმეტიკული ოპერაციების გამოყენებით ჩავატარეთ. ჩავატარეთ სხვადასხვა გაზომვები და შევაფასეთ მიღებული შედეგები.

სხეულის ზუსტი მოძრაობების კონტროლზე დაკვირვებისთვის ვიყენებდით როლური თამაშის ელემენტებს, ამ გაკვეთილებზე ვაკვირდებოდით მოტორულ მოქნილობას, წონასწორობის და კოორდინაციის უნარს და საგნების მართვის ხელოვნებას.

მხედველობითი და სივრცითი აღქმის გამოსავლენად გაკვეთილებზე გამოვიყენეთ ვიზუალური მასალა, ავაგეთ გრაფიკები და გავაანალიზეთ გრაფიკულად მიღებული შედეგები.

სხვათა გრძნობების აღქმისა და გაგებისთვის, ხშირად ვგეგმავდით თანამშრომლობით სწავლებას – წყვილებში, ჯგუფებში მუშაობას, კლუბურ სამუშაოებს.

თვითცნობიერების უნარებზე დაკვირვების მიზნით მოსწავლეებს ვაძლევდით დამოუკიდებელ სამუშაოებს, გაკვეთილზე ვიყენებდით ისეთ აქტივობებს, რომლებიც საკუთარ თავში ჩაღრმავების, დამოუკიდებლად ფიქრის საშუალებას იძლეოდა.

ასევე ინტრაპერსონალურ უნარებზე დაკვირვებისთვის გამოვიყენე სასკოლო კონკურსი სახალისო ფიზიკასა და მათემატიკაში – ,,მოაზროვნე”.

პრაქტიკული ინტელექტის გამოსავლენად გაკვეთილებზე გამოვიყენეთ ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლეები საკუთარი ხელით დამოუკიდებლად ასრულებდნენ პრაქტიკულ დავალებებს.

შევიმუშავეთ დაკვირვების ოქმები, ჩავინიშნეთ შედეგები და მიღებული შედეგები გავაანალიზეთ წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკების საშუალებით. დაკვირვებას ვაწარმოებდით 5 თვის განმავლობაში.

წარმოგიდგენთ შეფასების რუბრიკას

	1. არასოდეს	2. იშვიათად	3. ხშირად	4. ყოველთვის
ენობრივ-ლინგვისტური	არ შეუძლია მოცემული საკითხის მიმართ საუბარი, ტექსტის ანალიზი, მოვლენაზე კომენტარის გაკეთება, დისკუსიებ ში, დებატებში, პრეზენტაციებში მონაწილეობა.	იშვიათად შეუძლია მოცემული საკითხის მიმართ საუბარი, ტექსტის ანალიზი, მოვლენაზე კომენტარის გაკეთება, დისკუსიებში, დებატებში, პრეზენტაციებში მონაწილეობა.	ძირითადად, შეუძლია მოცემული საკითხის მიმართ საუბარი, ტექსტის ანალიზი, მოვლენაზე კომენტარის გაკეთება,დისკუსიებში, დებატებში, პრეზენტაციებში მონაწილეობა.	შეუძლია მოცემული საკითხის მიმართ საუბარი, ტექსტის ანალიზი, მოვლენაზე კომენტარის გაკეთება, დისკუსიებ ში, დებატებში, პრეზენტაციებში მონაწილეობა.
ლოგიკურ-მათემატიკური	არ შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების, სხვადასხვა გაზომვების შესრულება, შედეგების შეფასება და პროცესის დაგეგმვა.	იშვიათად შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების, სხვადასხვა გაზომვების შესრულება, შედეგების შეფასება და პროცესის დაგეგმვა.	ძირითადად შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების, სხვადასხვა გაზომვების შესრულება, შედეგების შეფასება და პროცესის დაგეგმვა.	შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების, სხვადასხვა გაზომვების შესრულება, შედეგების შეფასება და პროცესის დაგეგმვა.
სხეულებრივ- კინესთეტიკური	არ შეუძლია სენსორების (შეხების) გამოყენება, როლურ თამაშებში მონაწილეობა.	იშვიათდ შეუძლია სენსორების (შეხების) გამოყენება, როლურ თამაშებში მონაწილეობა.	ძირითადად შეუძლია სენსორების (შეხების) გამოყენება, როლურ თამაშებში მონაწილეობა.	შეუძლია სენსორების (შეხების) გამოყენება, როლურ თამაშებში მონაწილეობა.

ვიზუალურ-სივრცული	არ შეუძლია სივრცული ფიგურების და გრაფიკების დახაზვა, აგება; გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით; დიდი და მცირე სივრცეების აღქმა.	იშვიათად შეუძლია სივრცული ფიგურების და გრაფიკების დახაზვა, აგება; გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით; დიდი და მცირე სივრცეების აღქმა.	ძირითადად შეუძლია სივრცული ფიგურების და გრაფიკების დახაზვა, აგება; გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით; დიდი და მცირე სივრცეების აღქმა.	შეუძლია სივრცული ფიგურების და გრაფიკების დახაზვა, აგება; გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით; დიდი და მცირე სივრცეების აღქმა.
ნატურალისტური	არ შეუძლია ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვა, მცენარეების და ცხოველების, ბუნებრივ სამყაროში განსხვავებების შეცნობა.	იშვიათად შეუძლია ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვა, მცენარეების და ცხოველების, ბუნებრივ სამყაროში განსხვავებების შეცნობა.	ძირითადად, შეუძლია ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვა, მცენარეების და ცხოველების, ბუნებრივ სამყაროში განსხვავებების შეცნობა.	შეუძლია ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვა, მცენარეების და ცხოველების,ბუნებრივ სამყაროში განსხვავებების შეცნობა.
ინტერპერსონალური	არ შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;ადამიანებს და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა.	იშვიათად შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;ადამიანებს და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა.	ძირითადად, შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;ადამიანებს და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა.	შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა.ადამიანებს და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა.
ინტრაპერსონალური	არ შეუძლია საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება; ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებას და გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.	იშვიათად შეუძლია საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება; ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებას და	ძირითადად შეუძლია საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება; ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებას და გადაწყვეტილების	შეუძლია საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება; ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებას და გადაწყვეტილების

		გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.	მიღებას მოითხოვს.	მიღებას მოითხოვს.
პრაქტიკული	არასოდეს არ ეხერხება ხელსაქმე, შეკეთება, ჩხირკედელაობა, ნივთების ერთმანეთთან დაკავშირება ან ხელსაწყოს აწყობა და მოქმედებების დროს პრობლემის გადაწყვეტა.	იშვიათად ეხერხება ხელსაქმე, შეკეთება, ჩხირკედელაობა, ნივთების ერთმანეთთან დაკავშირება ან ხელსაწყოს აწყობა და მოქმედებების დროს პრობლემის გადაწყვეტა.	ძირითადად ეხერ ხება ხელსაქმე, შეკეთება, ჩხირკედელაობა, ნივთების ერთმანეთთან დაკავშირება ან ხელსაწყოს აწყობა და მოქმედებების დროს პრობლემის გადაწყვეტა.	ეხერხება ხელსაქმე, შეკეთება, ჩხირკედელაობა, ნივთების ერთმანეთთან დაკავშირება ან ხელსაწყოს აწყობა და მოქმედებების დროს პრობლემის გადაწყვეტა.

მე და ბიოლოგიის მასწავლებელმა შევავსეთ კოდირების ცხრილები, ავაგეთ დიაგრამები, როგორც ცალკე საგნების მიხედვით, ასევე საერთო სვეტოვანი დიაგრამა ანკეტირების, ფიზიკისა და ბიოლოგიის გაკვეთილების მონაცემების შედეგებით.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გამოვიყენეთ ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა ჩემი და ბიოლოგიის მასწავლებლის კვლევის სანდოობა. კლასის დამრიგებელმა, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სამიზნე კლასის მოსწავლეები ყველაზე ნაკლებად ავლენენ ლინგვისტურ-ენობრივ და ნატურალისტურ ინტელექტს.

მათ ყველაზე კარგად აქვთ განვითარებული ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტი. ასევე იმ საგნის პედაგოგებმა, სადაც მოსწავლეებს სჭირდებათ მათემატიკური გარდაქმნები, აღნიშნეს, რომ ზოგადად ასეთი მოქმედებების შესრულება უძნელდებათ. ხოლო მათემატიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მათემატიკის გაკვეთილებზე აქტიურები არიან. ეს ზოგადად განათლების სპეციალისტების მიერ აღიარებული ფაქტია, რომ მოსწავლეებს უჭირთ ერთ კონტექსტში ნასწავლის მეორეში გადატანა, ანუ ცოდნის ტრანსფერი. ამ მიმართულებითაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საკვლევი კლასის მოსწავლეებს საკმაოდ კარგად აქვთ განვითარე ბული ინტელექტის ყველა სახე, თუმცა არის მათ შორის განსხვავება. ასევე განსხვავებულია ინდივ

იდუალური შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ჩვენ მომავალში უნდა გავითვალისწინოთ, როგორც თითოეული მოსწავლის მიდრეკილებები, ასევე საერთო სურათი, რათა მოცემულ კლასში დაგეგმ ილი გაკვეთილები იყოს უფრო მეტი შედეგის მომტანი.

ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს საკმაოდ კარგად აქვთ განვითარებული ინტრა– და ინტერპერსონალური ინტელექტი.

მოსწავლეებს უფრო მეტად უჭირთ ლოგიკური აზროვნება და წაკითხულის შინაარსის თავისი სიტ ყვებით გადმოცემა. ასევე უმეტესობას ნაკლებად აქვს განვითარებული ნატურალისტური ინტელე ქტი. ამ შედეგმა ჩემი გაოცება გამოიწვია, რადგან მოსწავლეები ცხოვრობენ პერიფერიაში და მეტი სიახლოვე აქვთ ბუნებასთან.

ჩარევის, ინტერვენციის განხორციელების მიზნით, მე და ბიოლოგიის მასწავლებელმა გაკვეთილები დავგეგმეთ ისეთი აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს შესაბამისი ინტელექტის განვითარებას (რა თქმა უნდა, შესაბამისი მასალის გათვალისწინებით).

გამოვიყენეთ მარკირებული კითხვის მეთოდი, ასევე მოსმენილის გააზრება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. მოცემულ აქტივობებს ვიყენებდით მრავალფეროვანი სამუშაოს შესასრულებლად: ზეპირი თუ წერილობითი პრეზენტაციების მომზადებისას, გარემოზე დაკვირვებისა და პრაქტიკული სამუშაოებისას, ინდივიდუალურ და ჯგუფური მუშაობების მონაცვლეობით.

ბიოლოგიის მასწავლებელმა დაგეგმა, გააკეთოს ,,ცოცხალი კუთხე", სადაც სადაც მოსწავლეები ერთობლივად შეარჩევენ მცენარეებს და ცოცხალი არსებების მაკეტებს; ასევე, მოსწავლეები ჩართო ,,ეკო-კლუბის" მუშაობაში, რომელიც სკოლაში დიდი ხანია ფუნქციონირებს.

ასევე მრავალი ინტელექტის განვითარებას უწყობს ხელს სახალისო კონკურსი ფიზიკასა და მათემატიკაში – ,,მოაზროვნე", ამ კონკურსის ფარგლებში მოსწავლეები დამოუკიდებლად სცემენ პასუხს ღიადაბოლოებიან კითხვებს, რაც ხელს უწყობს ლინგვისტური, ლოგიკური და ინტრაპერსონალური ინტელექტის განვითარებას.

მოსწავლეებს უფრო მეტად ვაძლევთ ისეთ დავალებებს, როდესაც უნდა ააგონ გრაფიკები, ფიგურები და დახატონ საგაკვეთილო მასალასთან დაკავშირებული ნახატები, რაც ხელს შეუწყობს სივრცული ინტელექტის განვითარებას.

ჩვენი ქმედებების/ინტერვენციის შედეგებმა ცხადყო მოსწავლეთა შესაძლებლობების ზრდა, ისი ნი საკმაოდ აქტიურობენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებების დროს. ეს პროცესი ძალიან შრომატევადია, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობას და შესაბამისად კვლევასაც მომავალშიც გა ვაგრძელებთ.

გარდნერის თეორიის განხორციელება საჭიროებს რესურსების სიმრავლეს, მოძიებას, დამზადებას და შეძენას. ამ მიმართულებითაც გვაქვს დაგეგმილი მუშაობა, მაგრამ ესეც დროსთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული.

ასევე გარდნერის თეორიის პრაქტიკაში არსებობს არასწორად გამოყენების რისკი – ძალიან რთულია ყველა მოსწავლის უნარების გათვალისწინება, მაგრამ სწორედ ამიტომ გავაკეთეთ კოდირების ცხრილი და დიაგრამები, როგორც თითოეული მოსწავლისთვის ცალკე, ასევე მთელი კლასისთვის.

კვლევაზე მუშაობით გამოიკვეთა კლასის შესაძლებლობები და მოთხოვნილებები. გვაქვს მონახაზი, რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და რომელი აქტივობები გამოვიყენოთ. მომავალში კიდევ გავაგრძელებთ მუშაობას და კვლევას, რადგან ჩვენმა შრომის შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ა) ,,თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში"

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

2016 წელი;

ბ) ,,მრავალმხრივი ინტელექტის თეორია";

თამარ ჭანტურია 2012 წელი;

გ) http://mastsavlebeli.ge

,,გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია" –

24 იანვარი, 2014 მარინე ჯაფარიძე.